თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი #5

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–21, სტუდენტები – 4, სულ –25 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საგნობრივი, მოდულური) დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

5. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი (მეოთხე და მეხუთე საფეხური)“ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურ თარგმანში ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

6. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა პროფ. თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს, ანა ხელაძეს მისი ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქ–მა ე. ხარაიშვილმა ითხოვა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დღის წესრიგს დაემატოს შემდეგი საკითხები:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ;
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

სხდომის დაწყებამდე, აკად. ა სილაგაძემ გამოთქვა მოსაზრება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე რიგი საბჭოს წევრების არარეგულარული დასწრების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველ კათედრას ეცნობოს საბჭოს წევრების დასწრების შესახებ ინფორმაცია და მათ, ვისაც გაცდენილი აქვს სხდომების 50%-ზე მეტი, უნდა მოხდეს ამ წევრების ჩანაცვლება კათედრების სხვა წევრებით. მან ფაკულტეტის საბჭოს სთხოვა მხარდაჭერა ამ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ მორიგ საბჭოს სხდომაზე მოხდება ამ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშული ცვლილების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 20 ივლისის #5 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ **ავთანდილ სულაბერიძის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქ-მა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ **ავთანდილ სულაბერიძის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ავთანდილ სულაბერიძის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება.აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შედეგად სპეციალიზებული მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი ავთანდილ სულაბერიძე 2004-2005 სასწავლო წელს ჩარიცხული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დღის სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის I კურსის სტუდენტად

(ბრძანება №4/615, 16.06.2004). 2008-2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატს პროგრამის დასრულების მიზნით თვითდაფინანსებით მიეცა სწავლის გაგრძელებისა და X სემესტრის სტუდენტად დარეგისტრირების უფლება - 15 კრედიტი (ბრძანება №1304/01-04, 26.09.2008).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილების შესაბამისად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ ავთანდილ სულაბერიძეს მიენიჭა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა შესაბამისი დიპლომი *(საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №26922/02, 11.11.2009).*

2009-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №001362 (სარეგისტრაციო №01/400557) რეგისტრირებულია ავთანდილ სულაბერიძის სახელზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №26922/02, 11.11.2009.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა წერილთან ერთად წარმოადგინა არქივიდან მიღებული 2009 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან, წარმოდგენილ ოქმების დანართებში არ იძებნება ავთანდილ სულაბერიძის გვარი, ამიტომ მიზანშეწონელია აღდგენილად ჩაითვალოს 2009 წლის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილაბაში არსებული ინფორმაცია. თსუ იურდიულ დეპერტამენტთან შეთანხმებით ამ გადაწყვეტილების თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დააგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ 2009 წელს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთვრებულ ავთანდილ სულაბერიძის ბაკალავის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2009 წლის 27 ნოემბერი*** და ნომრად ***№2333/3***.

მოისმინეს: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2006 წელს კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (№8796/02, 22.06.2017), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულის ***ვარვარა მინასიანის*** დიპლომის დანართი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ***ვარვარა მინასიანი*** 2001 წელს ჩაირიცხა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში, დაუსწრებელი სწავლების რუსული სექტორზე, „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობაზე. (ბრძანება №04-02/04-56 20.07.2001).

2006 წელს ***ვარვარა მინასიანს თეუსუ-ს*** საატესტაციო-საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი ოქმის საფუძველზე (ოქმი№10 19.06.2006) მიენიჭა **ბიზნესისა და მართვის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი,** ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაციით (ბრძ. №01-38/41 12.07.2006) მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

(ნაცვლად ბიზნესისა და მართვისა უნდა იყოს ბიზნესის მართვის აკადემიური ხარისხი)

ქალბატონ ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს თეუსუ-ს საატესტაციო-საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დასკვნითი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი№10 19.06.2006) და თეუსუ-ს რექტორის 2006 წლის 12 ივლისის ბრძანება და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების რუსული სექტორის, „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის კურსდამთავრებულს ვარვარა მინასიანს **ბიზნესისა და მართვის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხის** ნაცვლად უნდა მიენიჭოს **ბიზნესის მართვის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების რუსული სექტორის, „ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულს ვარვარა მინასიანს **ბიზნესისა და მართვის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხის** ნაცვლად მიენიჭოს **ბიზნესის მართვის დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი.**

მოისმინეს: 2005 წელს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№8938/10, 09.06.2017) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან შემოსული წერილის (MES 4 17 00587971, 02.06.2017) საფუძველზე მოითხოვა ინფორმაცია თსუ ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებულ ***ნუკრი გაბედავას*** მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის თაობაზე და სტუდენტის სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი.

საქმისწარმოებისას წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ ნუკრი გაბედავას თსუ რექტორის 2003 წლის 21 ივლისის №4/837 ბრძანებით რეკომენდაცია მიეცა მაგისტრატურის არასაბიუჯეტო სექტორის პირველ კურსზე ჩასარიცხად (ფაკულტეტი - საერთაშორისო ბიზნესი, სპეციალობა - ბიზნესის სამართალი), თსუ რექტორის 2004 წლის 6 მაისის №4/462 ბრძანებით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის სპეციალობის I კურსზე, ხოლო 2005 წელს მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის სამართლის სპეციალობით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის სამართლის“ სპეციალობაში 2005 წლის 22 ივნისის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით ნუკრი გაბედავას მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი (შემაჯამებელი ოქმი №1, რომელშიც არ არის დაფიქსირებული კვალიფიკაცია) და მიეცა მაგისტრის დიპლომი. ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 13 დეკემბრის №4/984 ბრძანებით მაგისტრის კურსდამთავრებულს (ნ. გაბადავა) მიენიჭა ბიზნესის-სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის იურისტის კვალიფიკაციით და მიეცა შესაბამისი დიპლომი (საფუძველი: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება 2005 წლის 27 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმი №4).

2005 წლის დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი M №000214 (სარეგისტრაციო №01/1457) რეგისტრირებულია ნუკრი გაბედავას სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: „**ნუკრი გაბედავა 2003 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სპეციალობით ბიზნესის სამართალი. საატესტაციო კომისიის 2005 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ნუკრი გაბედავას მიენიჭა ბიზნესის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და ბიზნეს-იურისტის კვალიფიკაცია**“.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის სამართლის“ სპეციალობაში 2005 წლის 22 ივნისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი (შემაჯამებელი ოქმი №1) არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებასა და ნუკრი გაბედავას სახელზე გაცემულ დიპლომთან. აღნიშნულ ოქმში არ არის დაფიქსირებული მაგისტრის აკადემიური ხარისხი. დიპლომში მითითებული საატესტაციო კომისიის გადაწყვეტლების თარიღი (2005 წლის 24 ივნისი) არ არის შესაბამისობაში საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის სამართლის“ სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის თარიღთან (2005 წლის 22 ივნისის შემაჯამებელი ოქმი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს კორექტირება და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის სამართლის“ სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი

სხდომის გადაწყვეტილება და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 13 ოქტომბრის №4/984 ბრძანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №1, 22.06.2005) და თსუ რექტორის 2005 წლის 4 აგვისტოს №4/711 (§7) და 2005 წლის 13 ოქტომბრის №4/984 ბრძანებების შესაბამისად საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ნუკრი გაბედავა) ***„მაგისტრის აკადემიური ხარისხის“*** ნაცვლად უნდა მიენიჭოთ ***„ბიზნეს-სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-იურისტის კვალიფიკაციით“***.

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, რომ შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №1, 22.06.2005) გადაწყვეტილება და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის სპეციალობის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებულებს (მ.შ. ნუკრი გაბედავა) მინიჭებული ***„მაგისტრის აკადემიური ხარისხის“*** ნაცვლად მიენიჭოთ ***„ბიზნეს-სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-იურისტის კვალიფიკაციით“***.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლის სპეციალობის მაგისტრატურის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნუკრი გაბედავას მინიჭებული **„მაგისტრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ბიზნეს-სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-იურისტის კვალიფიკაციით“.**
2. ზემოაღნიშული პირობა გავრცელდეს საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის სამართლში სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემაჯამებელ სხდოის ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. საერთშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ბზინესის სამართლის სპეციალობაში საატესტაციო კომისიის შემეჯამებელის სხდომის ოქმი №1, 22.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა წარმოადგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები:

დანართი 1

1. საბაკალავრო პროგრამაში „ეკონომიკა“(დადგენილება 2011 №57, დანართი 77):

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის (როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სპეციალობების) სასწავლო კურსს „ეკონომიკური აზრის ისტორია“ მოეხსნა წინაპირობა;
- სასაწავლო კურსებში „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1“ და „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 2“ დასკვნით გამოცდაზე დაშვების ქულა ნაცვლად 11-სა განისაზღვროს 21-ით.

2. **სამაგისტრო პროგრამაში „ეკონომიკა“(დადგენილება 2011 №57, დანართი 80):**

- სასწავლო კურსებში „ეკონომიკის გლობალიზაციის თეორია“ და „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ შეფასების კომპონენტებში შევიდა ცვლილებები.

3. საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“(დადგენილება 2011 №57, დანართი 78):

ძირითადი სპეციალობა (მეიჯორი)

1. ა) შეიცვალა სასწავლო კურსის „პრაქტიკული მენეჯმენტი“ ავტორები (დ. ნარმანია, ე. ჩოხელი, გ. შიხაშვილი, გ. ქეშელაშვილი, ნ. ფარესაშვილი, ვ. კიკუტაძე, ნ. ხარაძე, ე. გულუა, მ. ხარხელის ნაცვლად სასწავლო კურსი შემოღებულია დ. ნარმანიას და ე. ჩოხელის ავტორობით).
ბ) მოცემულ სასწავლო კურსის სილაბუსში სასწავლო თეამტიკას დაემატა ერთი თემა.
გ) მოცემულ სასწავლო კურსში პრაქტიკული მეცადინეობის საათები გაიყო და გადანაწილდა ლაბორატორიულ საათებზე: 26 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა და 4 სთ. ლაბორატორიული მეცადინეობა ფაბ-ლაბის ლაბორატორიაში.
2. სასწავლო კურსს „მენეჯმენტის საფუძვლები“ (დ. ნარმანია, ე. ჩოხელი) მოეხსნა წინაპირობა, შეიცვალა და განახლდა სავალებულო სასწავლო ლიტერატურა, ახალი ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით დაზუსტდა სასწავლო კურსის თემატიკა.

3. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მოდულის სასწავლო პროგრამის სილაბუსში „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენა VB.NET“ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - 31 ქულა შეიცვალა 11 ქულით;
4. საბაკალავრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მოდულის სასწავლო პროგრამის სასწავლო კურსი „ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების დაპროექტება“ შეიცვალა სასწავლო კურსით „ეკონომიკური საინფორმაციო სისტემების თეორია და დაპროექტება“.
5. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი „ბიზნეს-ინფორმატიკა“ (Business-informatics) შეიცვალა კურსით „ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ (Informatics in Economics and Business);
6. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მენეჯმენტის მოდულში სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები“ პროფესორ გ. ღაღანიძის და ასოც. პროფესორ ბ. რამიშვილს ავტორობით წარმოდგენილ სილაბუსში განხორციელდა ცვლილებები ფაკულტეტზე ქართულ ენაზე უახლოეს პერიოდში თარგმნილ უცხოენოვან სახელმძღვანელოზე მორგების მიზნით. ასევე, აღნიშნულ სილაბუსში განხორციელდა ცვლილებები შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტებშიც.

დამატებითი სპეციალობა (მაინორი) თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების სტუდენტებისთვის

ა) სასწავლო კურსს „მენეჯმენტის საფუძვლები“ (დ. ნარმანია, ე. ჩოხელი) მოეხსნა წინაპირობა, შეიცვალა და განახლდა სავალებულო სასწავლო ლიტერატურა, ახალი ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით დაზუსტა სასწავლო კურსის თემატიკა.

დამატებითი სპეციალობა (მაინორი) თსუ სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისთვის

ა) სასწავლო კურსს „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ მოეხსნა წინაპირობა.

ბ) სასწავლო კურსს „მენეჯმენტის საფუძვლები“ (დ. ნარმანია, ე. ჩოხელი) მოეხსნა წინაპირობა, შეიცვალა და განახლდა სავალებულო სასწავლო ლიტერატურა, ახალი ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით დაზუსტა სასწავლო კურსის თემატიკა.

4. სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 81):

ა) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტის მოდულის მესამე სემესტრში არჩევით სასწავლო კურსად შემოღებულია საგანი „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“(ავტ. ასისტენტ პროფ. ე. გულუა);

ბ) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისმენეჯმენტის მოდულში მესამე სემესტრში არჩევით სასწავლო კურსად შემოღებულია სასწავლო კურსი „მმართველობითი კონსალტინგი“ (ავტორი ჟ. თოლორდავა);

გ) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ მოდულის სასწავლო პროგრამის სილაბუსებში „WEB

ტექნოლოგიები“ და „კლიენტსერვერული ტექნოლოგიები“ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - 31 ქულა შეიცვალა 11 ქულით.

5. საბაკალავრო პროგრამაში „ტურიზმი“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 79):

ა) სასწავლო კურსს „მენეჯმენტის საფუძვლები“ (დ. ნარმანია, ე. ჩოხელი) მოეხსნა წინაპირობა, შეიცვალა და განახლდა სავალებულო სასწავლო ლიტერატურა, ახალი ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით დაზუსტა სასწავლო კურსის თემატიკა.

6.სამაგისტრო პროგრამაში „ტურიზმი“ (დადგენილება 2011 №57, დანართი 211):

ა) სასწავლო კურსის „რისკების მენეჯმენტი და უსაფრთხოება ტურიზმის ინდუსტრიაში“ (ავტ. ი. ხელაშვილი) ნაცვლად პროგრამაში შემოღებულია სასწავლო კურსი „ტურიზმის მდგრადი განვითარება“ (ავტ. ი. ხელაშვილი)

ბ) სასწავლოკურსი „მასპინძლობის სისტემები და პოლიტიკა“ (ავტ. ვ. არღუთაშვილი) განახლდა ტრანსდისციპლინური თემატიკით (დანართი 1).

პროფ. ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ აქ წარმოდგენილ ყველა ცვლილებასთან დაკავშირებით შემოსულია კათედრების სხდომების ამონაწერები, წერილები და შესაბამისი დოკუმენტაცია, არსებობს პროფესორთა ხელმოწერილი თანხობები და სხდომის ოქმები.

აზრი გამოთქვეს: სტუდ. ა. ყუბანეიშვილმა, პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ქ. მარშავამ

სტუდ. ა. ყუბანეიშვილი - მან დასვა შეკითხვა: რამ განაპირობა წინაპირობის ქულის გაზრდა?

პროფ. ს. გელაშვილმა - მან აღნიშნა, რომ სტუდენტი, რომელიც არ დადის სემესტრის განმავლობაში, არ აქვს ყოველკვირეული შეფასებები და შუალედური გამოცდის მიხედვით ხდება შეფასება, მიგვაჩნია რომ ეს არ არის საკმარისი.

პროფ. ე. ხარაიშვილი - მან აღნიშნა, რომ გამოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანება, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელების მიერ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საშუალებას იძლევა.

პროფ. ქ. მარშავა - მან აღნიშნა, რომ დაშვების წინაპორობაში ცვლილებები ეხება საკმაოდ რთულს საგნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საგნების ლექცია-სემინარებზე დასწრება მეტად მნიშვნელოვანია. ამიტომ მოხდება დაკვირვება, არის თუ არა ეს გადაწყვეტილება შედეგის მომტანი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ.დანართი 1).

მოისმინეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საგნობრივი, მოდულური) დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (საგნობრივი, მოდულური):

ა) მოდულური პროფესიული პროგრამები;

- ბანკის მოლარე–ოპერატორი – მესამე საფეხური, პროგრამის ხელმძღვანელი ხათუნა ბარბაქაძე;
- ბუღალტერი – მეხუთე საფეხური, პროგრამის ხელმძღვანელი ელენე ხარაბაძე;

ბ) საგნობრივი პროფესიული პროგრამები:

- სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი – მეოთხე საფეხური, პროგრამის ხელმძღანელი ზეინაბ ახალაძე;
- მცირე ბიზნესის მწარმოებელი – მეოთხე საფეხური, პროგრამის ხელმძღვანელები: შოთა შაბურიშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, ზვიად ბეშკენაძე.

პროფ. ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამების დამტკიცების შემდგომ მას მოჰყვება ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე, შესაძლებელი იქნება დოქტორანტებისდა მაგისტრანტების სასწავლო პროცესში ჩართულობა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა

პროფ. თ. შენგელია - დასვა შეკითხვა: რატომ არ აქვს კათედრას ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

პროფ. ე. ხარაიშვილმა აღნიშა, რომ ეს პროგრამა გაკეთდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ხოლო შესაბამისი დოკუმენტები გადაეგზავნა საბჭოს წევრებს ელექტრონულად.

ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილი - მან აღნიშნა, რომ ეს პროგრამა გაკეთდა შარშან, მოხდა კათედრაზე განხილვა და არსებობს კათედრის სხდომის შესაბამისი ოქმები. იმ პერიოდში კათედრის ხემლძღვანელი იყო პროფ. ი მესხია, ხოლო პროფ. თ. შენგელია არ ესწრებოდა კათედრის სხდომებს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ადგილი აქვს კომუნიკაციის პრობლემას და გამოთქმული თვალსაზრისებიდან გამომდინარე, კენჭისყრაზე არ დააყენა საკითხი საგნობრივი პროფესიული პროგრამის – მცირე ბიზნესის მწარმოებელი – მეოთხე საფეხური, დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი მოდულური და საგნობრივი პროფესიული პროგრამები:

ა) მოდულური პროფესიული პროგრამები

- ბანკის მოლარე–ოპერატორი – მესამე საფეხური, პროგრამის ხელმძღვანელი ხათუნა ბარბაქაძე;
- ბუღალტერი – მეხუთე საფეხური, პროგრამის ხელმძღვანელი ელენე ხარაბაძე;

ბ) საგნობრივი პროფესიული პროგრამები

- სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი – მეოთხე საფეხური, პროგრამის ხელმძღანელი ზეინაბ ახალაძე;

მოისმინეს: მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი (მეოთხე და მეხუთე საფეხური)“ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურ თარგმანში ცვლილების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი (მეოთხე და მეხუთე საფეხური)“ ხელმძღვანელის ე. ჩოხელის განცხადება #7475/29, 01.06.2017, სადაც აღნიშნულია, რომ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მეოთხე და მეხუთე საფეხური) მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურ თარგმანში არის ტექნიკური შეცდომები, კერძოდ ცვლილება ეხება სიტყვის ,,professional“ შეცვლას და მის ნაცვლად სიტყვის ,,vocational“ ჩაწერას, ასევე ინგლისური ასო ,,j”–ის შეცვლასასო ,,g”–ით.

საბოლოოდ თარგმანი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ,,The 4th level vocational qualification of the agrologistics operator” – მეოთხე საფეხური;
2. ,,The 5th level vocational qualification of the agrologistics operator” – მეხუთე საფეხური;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი– 0

დაადგინეს: შეიცვალოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი (მეოთხე და მეხუთე საფეხური)“ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურ თარგმანი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მეოთხე საფეხური), მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ,,The 4th level vocational qualification of the agrologistics operator”
2. ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მეხუთე საფეხური), მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ,,The 5th level vocational qualification of the agrologistics operator”

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017 წლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ი. მშვენიერაძის წერილები (№11726/29, 19.07.2017 და №11756/29, 20.07.2017) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** უნდა მიენიჭოთ 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№	გვარი, სახელი		პ/ ნომერი
დიპლომი წარჩინებითი:			
1	ბენიძე	ბექა	01005036762
2	გოგოლაძე	პაპუნა	35001122231
3	გუბელაძე	მარიამ	62002004239
4	ჩანღლიშვილი	მარიამ	47001045352
5	ჯებაშვილი	ბექა	01008055464
დიპლომი ჩვეულებრივი:			
1	გოგრიჭიანი	ბექა	01024058775
2	დიდებულიძე	თორნიკე	01019075011
3	რთველიაშვილი	თორნიკე	01019076925
4	წულუკიძე	სოფიო	61001079846

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოთ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№	გვარი, სახელი		პ/ ნომერი
დიპლომი წარჩინებითი			
1	ბენიძე	ბექა	01005036762
2	გოგოლაძე	პაპუნა	35001122231
3	გუბელაძე	მარიამ	62002004239
4	ჩანღლიშვილი	მარიამ	47001045352
5	ჯეგაშვილი	ბექა	01008055464
დიპლომი ჩვეულებრივი			
1	გოგრიჭიანი	ბექა	01024058775
2	დიდებულიძე	თორნიკე	01019075011
3	რთველიაშვილი	თორნიკე	01019076925
4	წულუკიძე	სოფიო	61001079846

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2017 წლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონ ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ი. მშვენიერაძის წერილები (№11726/29, 19.07.2017 და №11756/29, 20.07.2017) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** უნდა მიენიჭოთ 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№	გვარი, სახელი		პ/ნომერი
დიპლომი წარჩინებითი:			
1	ქერდიყოშვილი	ნინა	59001119158
2	კიპაროიძე	ლანა	38001047137
დიპლომი ჩვეულებრივი:			
1	დავითაძე	ერეკლე	61001061489
2	ბაბაჯანიან	ჰოვსეფ	47401046688
3	იაილიან	ანაიდ	52001024588
4	შალამბერიძე	საბა	60001140229
5	ჯიქია	გიორგი	62001042138

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოთ **ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

№	გვარი, სახელი		პ/ნომერი
დიპლომი წარჩინებითი:			
1	ქერდიყოშვილი	ნინა	59001119158
2	კიპაროიძე	ლანა	38001047137
დიპლომი ჩვეულებრივი:			
1	დავითაძე	ერეკლე	61001061489
2	ბაბაჯანიან	ჰოვსეფ	47401046688
3	იაილიან	ანაიდ	52001024588
4	შალამბერიძე	საბა	60001140229
5	ჯიქია	გიორგი	62001042138

მოისმინეს: თსუ-ში ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალის ,,კავკასია: გარემო და საზოგადოება“ დაფუძნებისა და სარედაქციო საბჭოს დამტკიცების შესახებ.

/პროფ. ე. მექვაბიშვილი/

პროფ. ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი ,,კავკასია: გარემო და საზოგადოება“ დაფუძნებულია 2017 წელს თსუ-ის სამი ფაკულტეტის - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ. სამი ფაკულტეტის მიხედვით იქმნება სარედაქციო საბჭო. არის მოსაზრება, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან მისი წევრები იქნებიან: პროფ. თ. ბერიძე, აკად. ა. სილაგაძე, პროფ. ნ. ხადური, პროფ. დ. ნარმანია, პროფ. ე. მექვაბიშვილი, პროფ. ი ხელაშვილი, პროფ. ე. ხარაიშვილი, პროფ. თ. შენგელია, პროფ. გ. ღაღანიძე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, ქ. მარშავამ, შ. შაბურიშვილმა, ლ. საბაურმა, აკად. ა. სილაგაძემ.

აკად. ა. სილაგაძემ აცილება მისცა მის კანდიდატურას და მის ნაცვლად საბჭოს შესთავაზა აკად. ვ. პაპავას კანდიდატურა. დეკანმა, საბჭოს თავჯდომარემ თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ აკად. ვ. პაპავასთან ეს საკითხი არ არის შეთანხმებული.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალის ,,კავკასია: გარემო და საზოგადოება“ სარედაქციო საბჭო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. თ. ბერიძე
2. პროფ. ნ. ხადური
3. პროფ. დ. ნარმანია
4. პროფ. ე. მექვაბიშვილი
5. პროფ. ი ხელაშვილი
6. პროფ. ე. ხარაიშვილი
7. პროფ. თ. შენგელია
8. პროფ. გ. ღაღანიძე

მოისმინეს: ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილის ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა აღნიშნა, რომ უკრაინელი კოლეგების მიერ გამოითქვა სურვილი, რომ თსუ-ის ბაზაზე ჩატარდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, შეირჩა მონაწილე უნივერსიტეტები, ჩატარდა გარკვეული სამუშაოები და შეირჩა თემატიკა. კონფერენციის დაფინანსება მოხდება მონაწილეთა მიერ. საკონფერენციო მასალების გამოცემა მოხდება უკრაინაში, კიევის ეკონომიკური ინსტიტუტის ბაზაზე. კონფერენციის ჩატარების დრო არის 23-24 ოქტომბერი. დამატებითი ინფორმაცია დაეგზავნებათ კათედრებს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს წევრების მიერ გაიმართა დისკუსია საბჭოზე გამოტანილ საკითხებთან დაკავშირებით. აზრი გამოთქვენს შემდეგმა საბჭოს წევრებმა.

ასოც. პროფ. ა. ჩუთლაშვილი - მან აღნიშნა, რომ შესაძლოა ზოგიერთ სხდომაზე კათედრის არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა, ასევე შესაძლებელია მხოლოდ ერთი წევრის დასწრება. ამიტომ საჭიროა ჩატარდეს ანალიზი, რომელი კათედრიდან რამდენი წევრი ესწერება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს. შესაძლოა კათედრის წევრების მონაწილეობა იყოს 50%-ზე ნაკლები.

აკად. ა. სილაგაძე - მან საბჭოს წევრებს მიულოცა სასწავლო წლის წარმატებით დასრულება და აღნიშნა შემდეგი: ,,განსახილველია 2 საკითხი: 1. საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით და 2. სილაბუსებთან დაკავშირებული საკითხები.

სილაბუსებში ნებისმიერი ცვლივლება უკავშირდება იგივე პროცედურის გავლას, რაც მის დამტკიცებისთვის იყო საჭირო, რაც ძალიან დიდ რესურსების ხარჯვასთან არის დაკავშირებული. თსუ ხარისხის სამსახურის უფროსის ახალ კანდიდატს დავუსვი კითხვები: 1. მიგაჩნიათ თუ არა ის სისტემა, რაც არის სილაბუსებში, მისი არქიტექტონიკა ეს უნდა შევინარჩუნოთ? 2. და თქვენი დამოკიდებულება, როგორ უყურებთ ჩვენი ფაკულტეტის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით ფაკულტეტის წინადადებებს? არ ველოდი ისეთ პასუხს, სასიამოვნო პოსუხი მივიღე. ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი სექტემბერში შეუდგება მუშაობას და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან დაკავშირებით მიპასუხა, რომ მე თქვენს მოსაზრებებს ვიცნობ, ძირითადად თქვენს მოსაზრებებს მხარს ვუჭერ და მაქვს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა, რომელზეც მუშაობის დაწყების შემდგომ უნდა ვიმუშაოთ. მე დავინახე სრული მხარდაჭერა ფაკულტეტისასადმი და იმ პრონციპებისადმი, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

სილაბუსებთან დაკავშირებით თუ ჩვენ ევროპოსკენ მივდივართ და გვინდა ინტეგრაცია, ეს სასაწავლო პროცესსაც გულისხმობს. დამისახელეთ რომელიმე ევროპის ქვეყანა, სადაც არსებობს ისეთი სილაბუსები, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ. ეს არის სამარცხვინო ფორმა. რადგან აკრედიტაციას უკავშირდება საკითხი, მომავალში ეს ასე არ უნდა იყოს. პროფესორის საქმეა ჩამოწეროს თემები, მიუთითიოს ლიტერატურა და შეფასების კომპონენტები. სხვა დამატებითი ინფორმაცია არ არის პროფესორის საქმე. ეს არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმე, საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს ჩაწერილი ეკონომიკისთვის და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებისთვის ცაკლ-ცალკე. ის უნარები, მთელს პროგრამას რომ გაივლის, მერე ჩამოუყალიბდება სტუდენტს.

ასევე, როცა არ არის სილაბუსში არსებითი ცვლილება და ეს ცლილება მცირეა, მისი ჩასწორების პროცედურა უნდა გამარტივდეს. ცვლილება ხდება იმავე წესით, როგორც დამტკიცდა და ეს რთულია.

რატომ დავანაწილეთ აკრედიტაციაზე ცალკ ცალკე ფაკულტეტი? მომავალ წელს ამ პერიოდში იქნება ფაკულტეტის ძირითადი შემადგენლობის არჩევა. ბიზნესის მიმართულების მიხედვით ეს იქნება უფრო ადრე. როგორ უნდა დავგეგმოთ 3-4 წლის შემდეგ რამდენი საშტატო ერთეული იქნება საჭირო ეკონომიკის მიმართულებაზე? პროგრამები წარდგენილია და ერთ პერიოდში უნდა მოხდეს აკრედიტაციის პროცესის ჩატარება. ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური წერილი წასულია და ეს საკითხიც იქნება განხილვადი."

ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილი - ,,მნიშვნელოვანი საკითხი ეხება დოქტორანტებს, რადგან გაჩერებულია სადისერტაციო საბჭოს მუშაობა, რითიც ზარალდებიან დოქტორანტები როგორც ფინანსურად, ასევე აკადემიური და კარიერული კუთხით. რა სიახლეებია ამ მიმართულებით?

სხდომაზე დღის წესრიგიდან ამოღებული იქნა საკითხი პროგრამებთან დაკავშირებით და მინდა ვიცოდე ოფიციალური მიზეზი, რის გამო მოხდა ამ საკითხის მოხსნა საბჭოს სხდომიდან? არსებობს თსუ-ის ეთიკის კომისიის დასკვნა, სადაც ჩვენი კათედრის ხელმძღვანელს პირდაპირ მიუთითებენ, რომ ის ძაბავს ურთიერთობას კათედრაზე, ამიტომ მე მაინტერესებს ოფიციალური მიზეზი, რატომ მოიხსნა კენჭისყრიდან აღნიშნული საკითხი."

პროფ. თ. შენგელია - ,,არსებობს აუდიტის სამსახურის დასკვნა, სადაც ცალსახად წერია, შ. შაბუტრიშვილი ატარებინებს მეცადინეობებს არა მის დოქტორანტებს. ეს დასკვნა არსებობს , ეს არის სისხლის სამართლის საქმე და ამას სჭირდება შესაბამისი რეაგირება. რასაც ეს კაცი ბრძანებს, თითქოს ეთიკის კომისისამ მე რაიმე მიმითითა, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. იყო მისი საჩივარი, სადაც ბილწი სიტყვებით ის მიმართავდა კათედრის ხელმძღვანელს და ეთიკის კომისისამ მას მოუწოდა იცოდეს თუ როგორ მოიქცეს საზოგადოებაში. მე ეს წაკითხული მაქვს და თქვენ დეზინფორმაციას ავრცელებთ, ილაპარაკეთ ისე, როგორც შეეფერება უნივერსიტეტის ლექტორს, უნივერსიტეტის ლექტორები თვითონ უნდა ატარებდნენ ლექციებს."

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე - ,,ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიყოფა ჯგუფი 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც შეისწავლის ამ საკითხის არსებით მხარეს. რაც შეეხება სადისერტაციო საბჭოს, მე მაქვს ინფორმაცია, რომ ახალი რეგულაციის შექმნის შემდეგ განახლდება სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირება." მან სთხოვა აკად. ა სილაგაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დეტალურად მოახსენოს საბჭოს დამატებითი ინფორმაცია.

აკად. ა. სილაგაძე - ,,დოქტორანტებს ექმნებათ პრობლემები, ემატებათ სემესტრი. ხელმძღვანელობა საქმის კურსშია, სხვა გამოსავალი არ არის, მათ ემატებათ სემესტრი ანაზღაურების გარეშე. ამ ფაქტმა დააზიანა დოქტორანტები.

უნივერიტეტში იცვლება ვითარება, მაგრამ უკეთესი იქნებოდა საბჭოს სექტემბრამდე გაეგრძელებინა მუშაობა, თუმცა სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.“

აკად. ა. სილაგაძემ ასევე ისაუბრა უცხოურ ქვეყნებში დაცვების პროცედურისა და თსუ-ში სამომავლოდ დაგეგმილი დაცვების პროცედურის შესახებ.

პროფ. ქ. მარშავა - ,,არ არსებობოს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოხდა დაცვების შეჩერება. თსუ-ში არ არსებობს ამის შესახებ რექტორის განკარგულება ან ბრძანება. სანამ ახალი რეგულაცია შემოვიდოდა, უნდა გაგრძელებულიყო დაცვები და ეს იქნებოდა სამართლიანი.”

პროფ. ე. მექვაბიშვილი - მან აღნიშნა, რომ დოქტორანტებისადმი ასეთი დამოკიდებულება დღეს არ დაწყებულა. მან გაიხსენა რამდენიმე წლის წინ გამოცემული ბრძანება იმასთან დაკავშირებით, რომ დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სტატია უცხოურ ჟურნალში. მან ასევე ისაუბრა იმ პროცესებზე, რომელიც იმ პერიოდში მიმდინარეობდა და აღნიშნა, რომ დღევანდელი სიტუაცია ასეთი დამოკიდებულების გაგრძელებაა. ,,28 თებერვლიდან დღემდე არის საკმარისი დრო გასული იმისთვის, რომ მომხდარიყო ამ საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ დღემდე ეს საკითხი მოუგვარებელია. მიუხედავად დეკანის აქტიური ჩართულობისა, პასუხი არის ის, რომ თსუ-ის რექტორატი აპირებს რეორგანიზაციას და შემდეგ ახალი საბჭო შეიქმნება. რეორგანიზაცია არის მეტად რთული პროცესი. საინტერესოა, თუ ამაზე მუშაობა დაწყებულია, რატომ არ არის ამაში ჩართული ფაკულტეტის წარმომადგენლები? ეს პროცესი ჯერ არ დაწყებულა და სექტემბრიდან თუ დაიწყება, სავარაუდოდ დასჭირდება დიდი დრო. გამოდის ისე, რომ თსუ-ის 7 ფაკულტეტიდან მხოლოდ 1 ფაკულტეტზე არ ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭო. ასე არ შეიძლება და ეს დანაშაულია ჩვენი დოქტორანტების მიმართ. ეს არ არის ფილოლოგია, ეკონომიკაში სწრაფი ცვლილებების ფონზე ხდება კვლევითი მასალის დაძველება და აქედან გამომდინარე დოქტორანტებს, რომლებსაც თითქმის მზად აქვთ დისერტაციები, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში არიან და ხდება მათი ენერგიის, რესურსების ზედმეტი ხარჯვა.“

პროფ. ქ. მარშავა - ,,მე მოვითხოვ მივწეროთ ოფიციალური წერილი პირველ კორპუსს არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და აგონ პასუხი. ჩვენ დოქტორანტები მივიღეთ გარკვეული პირობებით და ახლა ამ პირობებს ვუცვლით, რისი უფლებაც ჩვენ არ გვაქვს. “

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე - ,,მე ვთხოვ იურისტს, გვანცა ხასიას შეისწავლოს ეს საკითხი და მომაწოდოს წინადადებები. მე სოლიდარული ვარ თქვენს მიერ გამოთქმული მოსაზრებების, რადგან მომაჩნია, რომ სტუდენტი არ უნდა დაზარალდეს.“

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ფაკულტეტის მენეჯერის ბატონი აკაკი მიქაბერიძის ინფორმაცია საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ინტერკულტურული მენეჯმენტის კომპეტენციები“ ჩატარებისა და დაფინანსების შესახებ.

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ შემოსულია მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელის, პორფ. დავით ნარმანიას წერილი #4194/29, 11.07.2017, სადაც აღნიშნულია, რომ ა.წ. 11-16 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილია საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ინტერკულტურული მენეჯმენტის კომპეტენციები“ ჩატარება, რომლის ორგანიზატორები არიან თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და კობლენცის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, გერმანელი და აზერბაიჯანელი სტუდენტები. სტუდენტების შესარჩევად ჩატარდება ღია კონკურსი. ლექცია-სემინარების წასაკითხად მოწვეული არიან პროფესორები კობლენცის და გიორლიცის უნივერსიტეტიდან (3 პროფესორი და 7 სტუდენტი). საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელია თსუ მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ნარმანია. საზაფხულო სკოლის სამუშაო ენა არის ინგლისური. მონაწილეებს გადაეცემათ ორენოვანი სერტიფიკატები.

გერმანული მხარე სრულად აფინანსებს მათი მხრიდან მონაწილეთა ხარჯებს, ხოლო ფაკულტეტის მხრიდან დაგეგმილია საზაფხულო სკოლის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და სტუმრების მასპინძლობა (ბაკეტი და ექსკურსია კახეთში), რომლისთვისაც საჭიროა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 3200 ლარი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ - მან აღნიშნა, რომ ბატონი დავით ნარმანია არის სახელმწიფო მოხელე და საკმაოდ დაკავებულია, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა ასეთი ღონისძებების ორგანიზატორი იყოს ვინმე სხვა პირი მენეჯმენტის კათედრიდან.

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება პირადად ბატონი დავით ნარმანიას კონტაქტების საშუალებით უნდა განხორციელდეს და აქედან გამომდინარე, გამართლებულია მისი ხელმძღვანელობა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 25**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ინტერკულტურული მენეჯმენტის კომპეტენციები“ ჩატარებისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 3200 ლარი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე